ახალი, 2021 წლის მოსალოცი აუდიენცია
წმიდა საყდართან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისთვის

თქვენო აღმატებულებანო, ქალბატონებო და ბატონებო,

მადლობას მოვახსენებ დუაიენს, მის აღმატებულება ბ-ნ გეორგიოს პულიდესს, კვიპროსის ელჩს, გულთბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისთვის, რომელიც ყველა თქვენგანის სახელით გამოთქვა. უპირველეს ყოვლისა, ბოდიშს გიხდით უხერხულობისთვის, რომელიც 25 იანვარს გათვალისწინებული შეხვედრის გაუქმებამ შეგიქმნათ. მადლობელი ვართ გაგებისა და მოთმინებისთვის, მოწვევის მიღებისა და, მიუხედავად სირთულეებისა, დღეს დილით ჩვენს ტრადიციულ შეკრებაზე დასწრებისთვის.

დღეს დილით შევიკრიბეთ კურთხევათა აუდიტორიის ვრცელ დარბაზში, რათა დავემორჩილოთ პირადი დისტანცირების მოთხოვნას, რასაც პანდემიური სიტუაცია გვავალდებულებს. თუმცა, ეს დისტანცია მხოლოდ ფიზიკურია. ჩვენი აქ შეკრება საწინააღმდეგოს განასახიერებს. იგი ნიშანია იმ სიახლოვისა და ურთიერთმხარდაჭერისა, რომელსაც უნდა ესწრაფოდეს ერთა ოჯახი. ამ პანდემიის დროს ეს განსაკუთრებით საშურია, რადგან ყველასთვის ცხადია, რომ ვირუსმა წინაღობები არ იცის და მას ვერც იოლად განაცალკევებ. ამდენად, მისი დამარცხება ყველა ჩვენგანის პირადი და ჩვენი ქვეყნების პასუხისმგებლობაა. ამიტომაც, მადლიერი ვარ ყველა თქვენგანისა იმ ძალისხმევისთვის, რომელსაც თქვენს ქვეყნებს თუ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და წმიდა საყდარს შორის ურთიერთობების ხელშესაწყობად იჩენთ.

ამ თვეების მანძილზე არაერთხელ გამოგვიხატავს ურთიერთსიახლოვე, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების საშუალებით, რომელთა წყალობითაც ვახერხებთ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გადალახვას. რა თქმა უნდა, ყველას გვსურს რაც შეიძლება მალე აღდგეს პირადი კონტაქტები და ჩვენი დღევანდელი შეხვედრაც ამის პირველი მერცხალია. ასევე მსურს მალე განვაახლო სამოციქულო მოგზაურობები, დაწყებული ერაყში ვიზიტიდან, რომელიც მარტშია დაგეგმილი.

მართლაც, მოგზაურობები მნიშვნელოვანი ასპექტია, ერთი მხრივ, პეტრეს მოციქულის მემკვიდრის ზრუნვისა ღმერთის ხალხზე, რომელიც მთელ მსოფლოში გაფანტული, მეორე მხრივ კი სხვადასხვა სახელმწიფოებთან წმიდა საყდრის დიალოგისა. ამასთან, მოგზაურობები ხშირად საშუალებაა იძლევა გავაღრმავოთ ურთიერთობები განსხვავებულ რელიგიებს შორის, ურთიერთგაგებისა დიალოგის სულისკვეთებით. ჩვენს

დროში, რელიგიათშორისი დიალოგი ხალხებისა და კულტურების ურთიერთობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი საკუთარ იდენტობაზე უარის თქმას როდი ნიშნავს, არამედ ურთიერთგაცნობისა და ურთიერთგამდიდრების საშუალებაა და რელიგიურ ლიდერებსა თუ მორწმუნეებს შესაძლებლობას აძლევს მხარი დაუჭირონ პოლიტიკურ ლიდერებს, რომელთაც საერთო სიკეთის შექმნის პასუხისმგებლობა აკისრიათ.

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს გავაღრმავოთ ურთიერთნდობის კავშირები და ეკლესიას საშუალებას აძლევს უფრო ნაყოფიერად ითანამშრომლოს თქვენი ქვეყნების სულიერი და სოციალური კეთილდღეობისთვის. ამ თვალსაზრისით, მსურს გამოვყო სარატიფიკაციო დოკუმენტების გაცვლა წმინდა საყდარსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ჩარჩო ხელშეკრულებასა და ბურკინა-ფასოს კათოლიკური ეკლესიის იურიდიული სტატუსის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით, აგრეთვე წმიდა საყდარსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის 1960 წლის 23 ივნისის ქონებრივი ურთიერთობების რეგლამენტის დამატებითი მეშვიდე შეთანხმების ხელმოწერა. გარდა ამისა, გასული წლის 22 ოქტომბერს, წმიდა საყდარი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შეთანხმდნენ კიდევ ორი წლით გააგრძელონ 2018 წელს პეკინში ხელმოწერილი დროებითი შეთანხმება ჩინეთში ეპისკოპოსების დანიშვნის შესახებ. საქმე ეხება არსებითად სამწყსო ხასიათის შეთანხმებას და წმიდა საყდარი იმედოვნებს, რომ დაწყებული პროცესი გაგრძელდება ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის სულისკვეთებით, რაც ხელს შეუწყობს ორმხრივ საინტერესო საკითხების გადაწყვეტას.

ძვირფასო ელჩებო,

გასულმა წელმა დაგვიტოვა დიდი მწუხარება, შიშის, უნუგეშობისა და სასოწარკვეთის ტვირთი, ერთმანეთს დააშორა ადამიანები, ერთურთისადმი ეჭვით განაწყო ისინი, ბარიერებით ჩახერგა სახელმწიფოები. ჩვენთვის ესოდენ ჩვეული ურთიერთდაკავშირებული მსოფლიო, კვლავ დანაწევრებულმა და დაქსაქსულმა მსოფლიომ შეცვალა. ამის მიუხედავად, პანდემიის ეფექტი მაინც გლობალური მასშტაბისაა - ჯერ ერთი, დაავადებამ ფაქტობრივად მთელი მსოფლიო მოიცვა, და მეორეც, იგი გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების უამრავ ასპექტზე და კიდევ უფრო აღრმავებს ისეთ „ურთიერთდაკავშირებულ კრიზისებს, როგორიცაა კლიმატური, სასურსათო, ეკონომიკური და მიგრაციული კრიზისები“. [1] ამასთან, დაკავშირებით, საჭიროდ ჩავთვალე შემექმნა კოვიდ 19-ის ვატიკანის კომისია, რათა რეაგირება მოგვეხდინა მსოფლიოს სხვადასხვა ეპარქიაში შექმნილ ვითარებაზე და წინ აღვდგომოდით პანდემიით გამოწვეულ პრობლემებს.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ პანდემია მნიშვნელოვნად შეცვლიდა ჩვენი ცხოვრების წესს, შეგვიქმნიდა უამრავ უხერხულობას და ბევრ ჩვევაზეც აგვაღებინებდა ხელს. მისგან

გამოწვეულმა კრიზისმა დაგვანახა არა მხოლოდ ვირუსით დასნეულებული მსოფლიოს სახე, არამედ ჩვენი დაავადებული გარემო, მანკიერი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები და, განსაკუთრებით, მწირი ადამიანური ურთიერთობები; წარმოაჩინა ეგოიზმითა და გარიყვის კულტურით გამსჭვალული ცხოვრების წესის საფრთხეები და შედეგები და დაგვაყენა არჩევნის წინაშე: განვაგრძოთ იგივე გზით სიარული თუ სხვა გზა ავირჩიოთ?

ამიტომაც, მსურს შევჩერდე პანდემიით გამოწვეულ და წარმოჩენილ ზოგიერთ კრიზისზე და განვიხილო მათგან გამომდინარე შესაძლებლობები უფრო ადამიანური, სამართლიანი, სოლიდარული და მშვიდობიანი მსოფლიოს აშენებისა.

სამედიცინო კრიზისი

პანდემიამ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაგვაყენა ადამიანის არსებობის ორი გარდაუვალი განზომილების - ავადმყოფობისა და სიკვდილის წინაშე. ამით შეგვახსენა სიცოცხლის ფასი, თოთოეული ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების ფასი, მისი მიწიერი გზის ყოველ ეტაპზე - დედის წიაღში ჩასახვიდან ბუნებრივ სიკვდილამდე. მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ვითომდა სუბიექტური უფლებების უზრუნველსაყოფად, ზოგიერთი კანონმდებლობა დაშორდა თავის განუყოფელ მოვალეობას დაიცვას ადამიანის სიცოცხლე მის ყოველ ეტაპზე.

პანდემია ასევე გვახსენებს მკურნალობის უფლებას, რომლის ობიექტიც ყოველი ადამიანია, როგორც უკვე აღვნიშნე მშვიდობის მსოფლიო დღისადმი (1 იანვარი) მიძღვნილ გზავნილში. ყოველი ადამიანი თავისთავად მიზანია და არა მხოლოდ გარკვეული სარგებლობის მომტანი ინსტრუმენტი. იგი ოჯახში, თემში თუ საზოგადოებაში საცხოვრებლადაა შექმნილი, რომლის ყოველი წევრიც თანაბრად ღირსეულია. სწორედ ამ ღირსებიდან იღებს სათავეს ადამიანის უფლებები, ისევე, როგორც მოვალეობები, კერძოდ კი პასუხისმგებლობა იმისა, რომ გვერდით დავუდგეთ და ხელი გავუმართოთ ღარიბებს, სნეულებს, გარიყულებს“. [2] თუკი ღარიბებს სიცოცხლის უფლებას წავართმევთ, მათ სხვა უფლებებს როგორღა დავიცავთ?

ამ თვალსაზრისით, კვლავაც ვანახლებ ჩემს მოწოდებას, რომ ყოველ ადამიანს გაეწიოს მისთვის საჭირო მკურნალობა. ამ მიზნით, აუცილებელი, რომ პოლიტიკური და მმართველობითი პასუხისმგებლობის მქონე პირებმა ყველაფერი იღონონ, რათა, უპირველეს ყოვლისა, ბაზისური სამედიცინო მომსახურება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს, შეიქმნას ადგილობრივი სამედიცინო პუნქტები და მოსახლეობის რეალურ საჭიროებებთან მისადაგებული სამედიცინო სტრუქტურები, შესაბამისი მკურნალობითა და მედიკამენტებით. დაუშვებელია, რომ ისეთი დელიკატური სფერო, როგორიც ჯანდაცვაა მოგების ლოგიკას დაემორჩილოს.

ასევე აუცილებელია, რომ სამედიცინო და სამეცნიერო პროგრესი, რომელმაც შესაძლებელი გახადა კორონავირუსის საწინააღმდეგო ქმედითი ვაქცინის სინთეზი ძალზე შემჭიდროებულ ვადებში, მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ იქნას გამოყენებული. ამიტომ, ყველა ქვეყანას მოვუწოდებ აქტიურად შეუწყონ ხელი ვაქცინის სამართლიანად განაწილების უზრუნველმყოფელ საერთაშორისო ინიციატივებს, არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური კრიტერიუმების, არამედ ყველა ადამიანის, განსაკუთრებით უპოვართა საჭიროებების გათვალისწინებით.

ნებისმიერ შემთხვევაში, კოვიდ-19-ის მსგავსი ვერაგი და არაპროგნოზირებადი მტრის წინაშე, ვაქცინის ხელმისაწვდომობას თან უნდა ახლდეს ადამიანების შეგნებული და პასუხისმგებლური საქციელი, რათა წინ აღვუდგეთ დაავადების გავრცელებას იმ აღმკვეთი ზომების მეშვეობით, რომელთაც უკვე კარგა ხანია შევეჩვიეთ. დამღუპველი იქნება მხოლოდ ვაქცინის, როგორც პანაცეის იმედად ყოფნა, რომელიც თითქოსდა გვათავისუფლებს საკუთარ და სხვის ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოვალეობისგან. პანდემიამ შეგვახსენა ინგლისელი პოეტის, ჯონ დანის სიტყვები, რომ არცერთი ჩვენგანი კუნძული არაა და რომ „ყოველი ადამიანის სიკვდილი რაღაცას მაკლებს, რადგან კაცობრიობის ნაწილი ვარ“. [3]

გარემოსდაცვითი კრიზისი

მხოლოდ ადამიანები როდი ავადდებიან - არც ჩვენს დედამიწას ადგას კარგი დღე. პანდემიამ მისი სიმყიფეც წარმოაჩინა. მასაც სჭირდება მკურნალობა. რა თქმა უნდა, პანდემიით შექმნილ კრიზისსა და ბუნებრივი რესურსების განურჩეველი ექსპლუატაციით გამოწვეულ ეკოლოგიურ კრიზისს შორის დიდი სხვაობაა. ამ უკანასკნელს ბევრად უფრო რთული და მუდმივი განზომილება აქვს, რის გამოც გრძელვადიან და ერთობლივ გადაწყვეტას მოითხოვს. მაგალითად, კლიმატური ცვლილებების გამოვლინებანი, გინდ პირდაპირი (წყალდიდობები, გვალვა და სხვა უკიდურესი ატმოსფერული მოვლენები) და გინდ არაპირდაპირი (არასაკმარისი კვება, სასუნთქი გზების დაავადებები) იწვევს დროში გაწელილ შედეგებს.

ამ კრიზისების გადაწყვეტა მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას ჩვენი საერთო სახლის დასალაგებლად. ამიტომ, იმედს გამოვთქვამ, რომ კლიმატის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომდევნო კონფერენცია (COP26), რომელიც ნოემბრის თვეში, გლაზგოშია დაგეგმილი, შეძლებს მიაღწიოს ქმედით შეთანხმებას კლიმატური ცვლილებების შედეგებთან საბრძოლველად. ახლა მოქმედების დროა, რადგან უკვე ვიმკით ჩვენი ხანგრძლივი უმოქმედობის შედეგებს.

მაგალითად, მაფიქრებს წყნარი ოკეანის მცირე კუნძულების ბედი, რომელთაც თანდათან გაქრობა ემუქრება. ეს ტრაგედია არა მხოლოდ ანადგურებს უამრავ სოფელს,

არამედ ადგილობრივ თემებსა და, განსაკუთრებით, ოჯახებს აიძულებს მუდმივად იცვალონ საცხოვრებელი ადგილი, რაც იდენტობასა და კულტურას აკარგვინებს მათ. ასევე მადარდებს აზიის სამხრეთ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ვიეტნამსა და ფილიპინებზე მომხდარი წყალდიდობები, რომლებმაც მსხვერპლი გამოიწვია და უამრავ ოჯახს სარჩო-საბადებელი მოუსპო.

ვერც დედამიწის განუწყვეტელ დათბობაზე გავჩუმდებით, რამაც გამანადგურებელი ხანძრები გამოიწვია ავსტრალიასა და კალიფორნიაში. ასევე ძალზე შემაშფოთებელია აფრიკაში ადამიანის მოუფიქრებელი ჩარევისა და ახლა უკვე პანდემიის შედეგადაც კიდევ უფრო გამწვავებული კლიმატური ცვლილებები. პირველ რიგში, ვგულისხმობ საკვების ნაკლებობას, რომელიც ბოლო წლებში თავს დაატყდა განსაკუთრებით ბურკინა-ფასოს, მალის და ნიგერს, სადაც მილიონობით ადამიანი შიმშილობს. ასეთივე დღეშია სამხრეთ სუდანი, რომელსაც მოუსავლობა და ჰუმანიტარული კატასტროფის ემუქრება. მილიონობით ბავშვს საკვები აკლია და ამ დროს ჰუმანიტარული დერეფნები ჩაკეტილია, საქველმოქმედო ორგანიზაციებს კი ხშირად ტერიტორიაზე შესვლა ეზღუდებათ. ამ სიტუაციის შესაცვლელად აუცილებელია, რომ სამხრეთ სუდანის ხელისუფლებამ მოაგვაროს გაუგებრობანი და განაგრძოს პოლიტიკური დიალოგი სრული ეროვნული შერიგების მიზნით.

ეკონომიკური და სოციალური კრიზისი

კორონავირუსის შეჩერების მიზნით მრავალმა ქვეყანამ შემოიღო გადაადგილების შემზღუდავი ზომები, რამაც თვეობით შეაფერხა კომერციული საქმიანობა და შეანელა წარმოების პროცესი. ამან დიდად დააზარალა მეწარმეობა, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესი, შეამცირა სამუშაო ადგილები და, აქედან გამომდინარე, ოჯახების შემოსავლები. მძიმე დღეში ჩავარდა საზოგადოების სხვადასხვა ფენა, განსაკუთრებით კი მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ნაწილი.

ამ ყოველივეს მოჰყვა ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც წარმოაჩინა ჩვენი დროების კიდევ ერთი სენი: ადამიანის ექსპლუატაციასა და გარიყვაზე, ბუნებრივი რესურსების ფლანგვაზე დამყარებული ეკონომიკა. დაგვავიწყდა სოლიდარობა და სხვა ფასეულობანი, რომლებიც ეკონომიკას კერძო ინტერესების კი არა, ადამიანის ყოველმხრივი განვითარების სამსახურში აყენებენ. ჩვენი თვალსაწიერიდან გაქრა ეკონომიკის სოციალური ღირებულება, ქონებისა და რესურსების საყოველთაობა.

ამდენად, ამჟამინდელი კრიზისი ხელსაყრელ შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ ერთხელ ჩავუფიქრდეთ ურთიერთდამოკიდებულებას ადამიანსა და ეკონომიკას შორის. საჭიროა „ახალი კოპერნიკული რევოლუცია“, რომელიც ეკონომიას ჩააყენებს ადამიანის სამსახურში და არა პირიქით, „შეისწავლის და აამოქმედებს განსხვავებულ ეკონომიას,

იმგვარს, რომელიც აცოცხლებს და არ კლავს, მოიზიდავს და არ გარიყავს, ადამიანურ სახეს არ გაკარგვინებს, უფრთხილდება ღმერთისეულ ქმნილებას და არ ძარცვავს“). [4]

ამ კრიზისის უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად სხვადასხვა მთავრობებმა სხვადასხვა ღონისძიებები დასახეს და დიდი ფულადი სახსრებიც გამოყვეს. თუმცა, არცთუ იშვიათად, ცდილობენ კერძო გადაწყვეტა მოუძებნონ გლობალურ პრობლემებს. დღეს მხოლოდ თავისი თავის იმედად ვეღარავინ იქნება. საჭიროა ერთობლივი, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე გაზიარებული, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილების შემქმნელი და მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენების მხარდამჭერი ინიციატივები. ამ კუთხით, მნიშვნელოვნად მესახება ძალისხმევა ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისა, რომლებმაც, არცთუ იოლად, მაგრამ მაინც დაამტკიცეს, რომ შესაძლოა დამაკმაყოფილებელი კომპრომისის მიღწევა ყველა მოქალაქის სასიკეთოდ. Next Generation EU-ს მიერ შემოთავაზებული დაფინანსება ნათელი მაგალითია იმისა, რომ სოლიდარობის სულისკვეთებით თანამშრომლობა და რესურსების გაზიარება მხოლოდ სანუკვარი კი არა, რეალურად მიღწევადი მიზანიცაა.

მსოფლიო მრავალ მხარეში კრიზისი შეეხო, ძირითადად, არაფორმალურ სექტორში მომუშავეებს, რომლებსაც სხვაზე ადრე დაეშროთ არსებობის წყარო. მართლაც, ოფიციალური ეკონომიკის გარეთ მყოფთ ხომ არც სოციალურ დახმარებაზე, მათ შორის არც უმუშევრობის საწინააღმდეგო და სამედიცინო დაზღვევაზე მიუწვდებათ ხელი. სასოწარკვეთილებმა სხვაგვარ შემოსავლებს დაუწყეს ძიება - ზოგი შავ და იძულებით სამუშაოს დათანხმდა, ზოგიც პროსტიტუციასა და სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობაში, მათ შორის, ადამიანებით ვაჭრობაში ჩაება. არადა, ყოველ ადამიანს უფლება აქვს და უნდა შეეძლოს კიდეც მოიპოვოს „აუცილებელი და საკმარისი სახსრები ღირსეული ცხოვრებისთვის“. [5] მართლაც, საჭიროა ყველა ადამიანს უზრუნველყოფილი ჰქონდეს ეკონომიკური სტაბილურობა, რათა თვიდან აიცილოს ექსპლუატაციის მძიმე ტვირთი. უნდა წინ აღვუდგეთ მევახშეობასა და კორუფციას, რომლებიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია ფეხმოკიდებული, შევებრძოლოთ სხვა ბევრ უსამართლობას, რომელიც ყოველდღე ხდება დაღლილი და დაბნეული თანამედროვე საზოგადოების თვალწინ.

სახლში გატარებულმა მეტმა დრომ ხალხი კომპიუტერსა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს მიაჯაჭვა, რამაც მძიმედ იმოქმედა მოწყვლად პირებზე, განსაკუთრებით კი ღარიბებსა და უმუშევრებზე, რომლებიც ინფორმაციული კრიმინალის (კიბერკრიმინალის) ყველაზე უარესი ფორმების - თაღლითობის, ადამიანებით ვაჭრობის, პროსტიტუციის (მათ შორის, ბავშვთა პროსტიტუციის) და პედოპორნოგრაფიის ნადავლად იქცნენ.

პანდემიის გამო საზღვრების ჩაკეტვამ და ეკონომიკურმა კრიზისმა გაამწვავა ჰუმანიტარული სიტუცია როგორც კონფლიქტის ზონებში, ისე კლიმატური ცვლილებებითა და გვალვით დაზარალებულ რეგიონებში, ლტოლვილთა და მიგრანტთა ბანაკებში. პირველ რიგში ვგულისხმობ სუდანს, სადაც თავი შეაფარა ტიგრაის რეგიონიდან გამოქცეულმა ათასობით ადამიანმა. ასევე აღსანიშნავია მდგომარეობა სუბ-საჰარის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე მოზამბიკის კაბო დელგადოს რეგიონში, სადაც უამრავი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი ტერიტორია და დღეს უმძიმეს პირობებში ცხოვრობს. ასევე მაფიქრებს იემენი და სირია, სადაც სხვა მძიმე გამოწვევების გარდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს სასურსათო პრობლემა აწუხებს, ხოლო ბავშვები არასაკმარისი კვებისგან იფიტებიან.

ზოგ შემთხვევაში, ჰუმანიტარულ კრიზისს აღრმავებს ეკონომიკური სანქციები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში ისევ მოსახლეობის მოწყვლად ნაწილს აზარალებს და არა პოლიტიკოსებს. წმიდა საყდარს ესმის, რომ სანქციებს თავიანთი ლოგიკა აქვს, მაგრამ ვერ ხედავს მათ ეფექტურობას და ისურვებდა მათ შემსუბუქებას, თუნდაც ჰუმანიტარული დახმარების, ძირითადად კი პანდემიის დროს უაღრესად საჭირო მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის შეტანის ხელშესაწყობად.

ანალოგიურად, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა თუ ყველაზე ღარიბ ქვეყნებს მიეტევებოდათ ან შეუმცირდებოდათ მაინც ვალი, რომელიც ხელს უშლის მათ განვითარებას.

გასულ წელს კიდევ უფრო მომრავლდა მიგრანტების რაოდენობა, რომლებმაც საზღვრების ჩაკეტვის გამო, უფრო სახიფათო გზების ძიება იწყეს. მასობრივმა მიგრაციულმა ნაკადმა საპასუხო რეაქცია გამოიწვია და ბევრი მიგრანტი უკანონოდ იქნა გაძევებული, რათა თავშესაფარი არ მოეთხოვათ, რაც გაუძევებლობის (non refoulement) პრინციპის დარღვევაა. ბევრ მათგანს, თუ ზღვაში ან სხვა ბუნებრივ საზღვარზე დაღუპვას გადაურჩნენ, შემკრები ბანაკებიდანვე აძევებენ, სადაც ადგილი აქვს მათ წამებასა და ადამიანის უფლებათა დარღვევას.

ბოლო წლებში გამოყენებული ჰუმანიტარული დერეფნები, რა თქმა უნდა, ხელს უწყობენ ზოგიერთი ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას, და უამრავ ადამიანს უნარჩუნებენ სიცოცხლეს. და მაინც, კრიზისის მასშტაბები აუცილებელს ხდის მიგრაციის გამომწვევი მიზეზების ძირეულ აღმოფხვრას. ასევე აუცილებელია დავეხმაროთ პირველად მიმღებ სახელმწიფოებს, რომლებიც კისრულობენ ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის მორალურ ვალდებულებას. ამასთან დაკავშირებით, ინტერესით ვადევნებთ თვალს მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ევროკავშირის ახალი შეთანხმების ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებს, თუმცა დასახული სტრატეგია და კონკრეტული მექანიზმები ვერ იმუშავებს თუ შესაბამისი პოლიტიკური ნება არ იყო და ამ ყოველივეს

საზოგადოებრივი და საკითხის ყველა მხარის, მათ შორის თვით მიგრანტთა ძალისხმევაც არ დაერთო.

წმიდა საყდარი აფასებს მიგრანტთა სასარგებლოდ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და მხარს უჭერს ძალისხმევას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM), რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება. პატივს ვცემთ მის კონსტიტუციაში გამოთქმულ ფასეულობებს და იმ წევრი ქვეყნების ტრადიციებს, რომლებშიც ეს ორგანიზაცია მოღვაწეობს. წმიდა საყდარიც, როგორც გაერთიანებული ერების ლტოლვილთა საერთაშორისო უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ერთგული რჩება ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციაში გამოთქმული პრინციპების და 1967 წლის პროტოკოლისა, რომლებიც ადგენენ ლტოლვილის ცნების იურიდიულ განსაზღვრებას, ლტოლვილთა უფლებებს და სახელმწიფოთა მხრიდან მათი დაცვის იურიდიულ ვალდებულებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს არ უნახავს ლტოლვილთა რაოდენობის ისეთი დრამატული ზრდა, როგორიც დღესაა. ამიტომ, აუცილებელია განვაახლოთ მათი დაცვის ძალისხმევა, ისევე, როგორც შიდაგადაადგილებული და დევნას, ძალადობას, კონფლიქტებსა და ომებს გამოქცეული პირებისა. მიუხედავად გაერთიანებული ერების მიერ ამ პრობლემის თანმიმდევრული გადაწყვეტისათვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა და კონკრეტული წინადადებებისა, წმიდა საყდარი შეშფოთებას გამოთქვამს იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის გამო. პირველ რიგში ვგულისხმობ საჰელის ცენტრალურ ზონას, სადაც სულ ორიოდე წელიწადში შიდადაადგილებულთა რაოდენობა ოცჯერ გაიზარდა.

პოლიტიკის კრიზისი

ზემოთმოყვანილი კრიტიკული შეხედულებები ააშკარავებს ღრმა კრიზისს, რომელიდანაც, გარკვეული გაგებით, წამოზრდილია ყველა სხვა კრიზისი და რომელიც პანდემიამ მთელი სიმწვავით წარმოაჩინა. ვგულისხმობ პოლიტიკის კრიზისს, რომელმაც უკვე დიდი ხანია მრავალი საზოგადოება მოიცვა და რომლის დამღუპველი ეფექტიც პანდემიამ აშკარა გახადა.

ამ კრიზისის ერთ-ერთი ემბლემატური ფაქტორია პოლიტიკური დაპირისპირებები და ჩვენი პლანეტის პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის სირთულე, მეტიც, უუნარობა. ეს ტენდენცია უკვე დიდი ხანია არსებობს და უკვე თვით ძირძველი დემოკრატიის ქვეყნებსაც მოედო. დემოკრატიული რეალობის შენარჩუნება ჩვენი დღევანდელობის გამოწვევაა, რომელიც ყველა, დიდი თუ პატარა, ეკონომიკურად დაწინაურებული თუ განვითარებადი სახელმწიფოს წინაშე დგას. დღეისთვის განსაკუთრებით მიანმარელი ხალხი მაფიქრებს, რომელსაც ვუცხადებ ჩემს სიყვარულსა

და სიახლოვეს. დემოკრატიისკენ მსვლელობა, რასაც ბოლო წლებში ჰქონდა ადგილი, უხეშად შეწყვიტა გასულ კვირას მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ. ამას მოჰყვა რამდენიმე პოლიტიკური ლიდერის დაპატიმრება. იმედს გამოვთქვამ, რომ მათ მალე გაათავისუფლებენ, რაც ბიძგს მისცემს გულწრფელ დიალოგს ქვეყნის სასიკეთოდ.

მეორე მხრივ, როგორც პიუს XIII-მ თავის ცნობილ, 1944 წლის საშობაო რადიომიმართვაში განაცხადა: „გამოთქვას საკუთარი აზრი მასზე დაკისრებულ მოვალეობასა და მის შესასრულებლად გასაღებ მსხვერპლზე; არ იყოს ვალდებული დაემორჩილოს, თუკი მისი ნათქვამი არავინ ისმინა: აი, მოქალაქის ორი უფლება, რომლებიც დემოკრატიაში პოვებს თავიანთ გამოხატულებას, როგორც ამაზე თვით ამ სიტყვის მნიშვნელობა მიგვანიშნებს“. [7] დემოკრატია ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული, იმის შესაძლებლობაზე, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს საზოგადოებრივ სიკეთეში თავისი წვლილის შეტანა, და იმ მოსაზრებაზე, რომ განსხვავებული აზრები საფრთხეს კი არა უქმნიან სახელმწიფოების ხელისუფლებებსა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას, არამედ ერთურთის პატიოსანი შეჯერების გზით, ორმხრივად მდიდრდებიან და აიოლებენ მწვავე პრობლემების უკეთ მოგვარებას. დემოკრატიული პროცესი მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ყველა კომპონენტს შორის ინკლუზიური, მშვიდობიანი, კონსტრუქციული და ურთიერთპატივისცემით აღსავსე დიალოგის გზით სიარულს ყველა ქალაქსა თუ ქვეყანაში.

მოვლენებმა, რომლებმაც, განსხვავებულ კონტექსტებსა და განსხვავებული გზებით, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და, ვიმეორებ, თვით ძირძველი დემოკრატიის ქვეყნებშიც კი დაღი დაასვეს გასულ წელიწადს, დაგვანახა, თუ რამდენად გარდაუვალია ეს გამოწვევა და რომ ვერავინ გაექცევა მასთან ოპტიმისტური სულისკვეთებით დაპირისპირების ზნეობრივ და სოციალურ მოვალეობას. დემოკრატიული შეგნების ამაღლება მოითხოვს პერსონალიზმის დაძლევას და სამართლებრივი სახელმწიფოსადმი პატივისცემას. სწორედ სამართალია ყოველი ხელისუფლების განხორციელების აუცილებელი წინაპირობა და იგი გარანტირებული უნდა იყოს მმართველი ორგანოებისაგან, მიუხედავად დომინანტური პოლიტიკური ინტერესებისა.

სამწუხაროდ, პოლიტიკისა და დემოკრატიული ფასეულობების კრიზისი საერთაშორისო დონეზეც აისახა და მის მრავალმხრივ სისტემასაც გადასწვდა. შედეგად კი ის ორგანიზაციები, რომლებიც მშვიდობასა და განვითარებას უნდა ემსახურებოდნენ (სამართლისა და არა „ძლიერის უფლების“ სულისკვეთებით) თავიანთ ქმედითობას კარგავენ. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ბოლო წლებში თვით ამ მრავალმხრივი სისტემის შესაძლებლობებიც გარკვეულად შეზღუდული აღმოჩნდა. პანდემია გვაიძულებს დავფიქრდეთ სტრუქტურული რეფორმების დასახვასა და

განხორციელებაზე, რათა საერთაშორისო ორგანიზაციები კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ ბუნებრივ მოწოდებას ემსახურონ საკაცობრიო ოჯახს ადამიანთა სიცოცხლისა და მშვიდობის დასაცავად.

კრიზისის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ რეფორმების გატარებაზე უარის თქმაა, რის მომსწრენიც ხშირად ვართ. ნუ შეგვეშინდება რეფორმებისა, თუნდაც გარკვეული მსხვერპლისა და, არცთუ იშვიათად, მენტალობის შეცვლის ფასად. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი უნდა განუწყვეტლივ უნდა ახლდებოდეს. ამ თვალით უნდა შევხედოთ წმიდა საყდარსა და რომის კურიაში მიმდინარე რეფორმებსაც.

თუმცა, არც დამაიმედებელი ნიშნების ნაკლებობაა, როგორიცაა შეთანხმება ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ, რომელიც რამდენიმე დღის წინ შევიდა ძალაში, ანდა რუსეთის ფედერაციასა და შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული იარაღის შემცირების ახალი შეთანხმების ხუთი წლით გაგრძელება (ე. წ. “New START”). მეორე მხრივ, როგორც ეს ახალგამოცემულ ენციკლიკა „ყოველნო ძმანო“-ში განვაცხადე, „თუ გავითვალისწინებთ მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის შექმნილ ძირითად მუქარებს და მათ უამრავ განზომილებას XXI საუკუნის მრავალპოლუსიან მსოფლიოში... არაერთი ეჭვი ჩნდება იმის შესახებ, თუ რამდენად ადეკვატურია ბირთვული შეკავება, როგორც ეფექტური პასუხი ამ გამოწვევებზე“. [8] მართლაც, მიუღებელია „შიშზე დაფუძნებული სტაბილურობა, რომელიც კიდევ უფრო ზრდის შიშს და საფრთხეს უქმნის ხალხებს შორის ნდობით განმსჭვალულ ურთიერთობებს“. [9] განიარაღებისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის სფეროში გაწეული ძალისხმევა, რომელიც სირთულეების მიუხედავად, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს, ასევე უნდა გავრცელდეს ქიმიურ და ჩვეულებრივ იარაღზე. მსოფლიოში ძალზე ბევრი იარაღია! როგორც 1963 წელს წმინდა იოანე XXIII-მ განაცხადა, „სამართლიანობა, სიბრძნე და ჰუმანურობა მოითხოვენ გამალებული შეიარაღების შეჩერებას და, პარალელურად და ორმხრივად, უკვე არსებული იარაღის შემცირებას“ [10]. იარაღის მომრავლებასთან ერთად იზრდება ძალადობა ყოველ დონეზე და მსოფლიოც ომებითა და დაქსაქსულობით ტანჯება. ამიტომაც სულ უფრო საშური ხდება მშვიდობის დამყარება, მშვიდობისა, რომელიც „მხოლოდ ომის არარსებობა როდია - იგი აზრით სავსე ცხოვრებაა, პიროვნული რეალიზაციის პროცესი, სხვა ადამიანებთან გაზიარებული ყოფა“. [11]

როგორ მინდა, 2021 წელი იყოს წელი, როცა, ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაესმება 10 წლის წინ დაწყებულ სირიის კონფლიქტს! ამისთვის საჭიროა არსებობდეს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესიც გულწრფელად და გაბედულად შეებრძოლოს კონფლიქტის მიზეზებს და მოძებნოს ისეთი გადაწყვეტა, რომ ყველა ადამიანს, განურჩევლად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, შეეძლოს, როგორც მოქალაქეს, ხელი შეუწყოს ქვეყნის მომავალს.

რა თქმა უნდა, მშვიდობას ვუსურვებ წმინდა მიწას. ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის ურთიერთნდობა უნდა იყოს ის საფუძველი, რომელსაც დაემყარება მხარეებს შორის განახლებული, კონსტრუქციული და პირდაპირი დიალოგი ამ დროში ძალზე გაწელილი კონფლიქტის გადასაწყვეტად. მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ამგვარ პირდაპირ დიალოგს და არ შესთავაზონ ისეთი გადაწყვეტები, რომლებსაც საყოველთაო სიკეთეზე არ იქნება ორიენტირებული.

დარწმუნებული ვარ, პალესტინელებსაც და ისრაელელებსაც სურთ მშვიდობაში ცხოვრება. ასევე ვისურვებდი განახლებულიყო ეროვნული თუ საერთაშორისო პოლიტიკური ძალისხმევა სტაბილურობის ხელშესაწყობად ლიბანში, რომელიც შიდა კრიზისს განიცდის, რამაც შესაძლოა თავისი იდენტობა დააკარგვინოს ქვეყანას და კიდევ უფრო ჩაითრიოს იგი რეგიონალურ დაძაბულობაში. აუცილებელია ქვეყანამ შეინარჩუნოს თავისი უნიკალური იდენტობა, თუნდაც იმისთვის, რომ ვიხილოთ პლურალისტური, ტოლერანტული და დივერსიფიცირებული შუა აღმოსავლეთი, რომელშიც ქრისტიანები დაუცველი უმცირესობა კი არ იქნებიან, არამედ შეძლებენ თავიანთი წვლილის შეტანას ქვეყნის ცხოვრებაში. ქრისტიანები წარმოადგენენ ლიბანის ისტორიულ და სოციალურ მაკავშირებელ ქსოვილს და მათ საშუალება უნდა მიეცეთ, უამრავი თავიანთი საგანმანათლებლო, სამედიცინო და საქველმოქმედო პროექტის მეშვეობით იღვაწონ იმ ქვეყნის სასიკეთოდ, რომლის დამაარსებლებიც არიან. ქრისტიანული თემის დასუსტებამ შესაძლოა გამოიწვიოს შიდა წონასწორობისა და თვით ლიბანური რეალობის რღვევა. ამგვარადვე უნდა შევხედოთ ქვეყანაში სირიელი და პალესტინელი ლტოლვილების ყოფნასაც. გარდა ამისა, ეკონომიკური აღმავლობისა და აღდგენითი პროცესების გარეშე ქვეყანა შესაძლოა გაკოტრდეს, რაც, სავარაუდოდ, სახიფათო ფუნდამენტალისტურ მისწრაფებებს გააჩენს. ამიტომ, აუცილებელია, რომ ყველა პოლიტიკურმა და რელიგიურმა ლიდერმა გვერდზე გადადოს საკუთარი ინტერესები, რათა იღვაწოს სამართლიანობის დასამკვიდრებლად და განახორციელოს მოქალაქეთა სასიკეთო რეფორმები, იმოქმედოს გამჭვირვალედ და პასუხისმგებლურად.

მშვიდობას ვუსურვებ ლიბიასაც, რომელიც ასევე იტანჯება ხანგრძლივი კონფლიქტით. იმედი მაქვს, რომ „ლიბიის პოლიტიკური დიალოგის ფორუმი“ , რომელიც გასულ ნოემბერს გაიმართა ტუნისში გაერთიანებული ერების ეგიდით, სათავეს დაუდებს ქვეყანაში შერიგების ქმედით პროცესს.

შეშფოთებას იწვევს მსოფლიოს სხვა რეგიონებიც. პირველ რიგში, ვგულისხმობ პოლიტიკურ და სოციალურ დაძაბულობებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ასევე, ზოგადად, ლათინურ ამერიკაში. ამ დაძაბულობების ფესვები ადამიანის ღირსების დამამცირებელ ღრმა უთანასწორობაში, უსამართლობასა და სიღარიბეშია. ასევე

განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებთ თვალს ურთიერთობების გაუარესებას კორეის ნახევარკუნძულზე, რასაც მოჰყვა კორეათაშორისი მაკავშირებელი ოფისის დანგრევა კაესონგში. ამას ემატება სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში, სადაც არაერთი გაყინული კონფლიქტია, რომელთაგანაც ზოგიერთი გასულ წელს ისევ აალდა, რაც ემუქრება მთელი რეგიონის სტაბილურობას და უსაფრთხოებას.

დაბოლოს, გვერდს ვერ ავუვლი ჩვენი დროის კიდევ ერთ მძიმე ჭრილობას - ტერორიზმს, რომელიც ყოველ წელიწადს მთელ მსოფლიოში უამრავ უდანაშაულო ადამიანს იწირავს. ამ ბოროტებამ გასული წლის სამოცდაათიანი წლებიდან იწყო გავრცელება და თავის მწვერვალს 2001 წლის 11 სექტემბერს მიაღწია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც განხორციელებულმა თავდასხმამ თითქმის სამი ათასი ადამიანი იმსხვერპლა. სამწუხაროდ, ბოლო ოც წელიწადში თავდასხმების რაოდენობა ძალზე გაიზარდა და ყველა კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნები მოიცვა. ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, აფრიკის სუბ-საჰარულ ქვეყნებს, აგრეთვე აზიასა და ევროპას. ვფიქრობ ტერორიზმის მსხვერპლებსა და მათი ოჯახებზე, რომლებსაც იდეოლოგიით დამახინჯებული რელიგიით მოტივირებულმა ბრმა ძალადობამ ძვირფასი ადამიანები დააკარგვინა. არადა, ხშირად ამგვარი თავდასხმების სამიზნე სწორედ რელიგიური ადგილები ხდება, სადაც მორწმუნენი სალოცავად იყრიან თავს.

ამასთან დაკავშირებით, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რელიგიური ადგილების დაცვა ფიქრის, სინდისისა და რელიგიის დაცვის უშუალო ნაწილია და სამოქალაქო ხელისუფალთა მოვალეობაში შედის, განურჩევლად მათი პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა.

თქვენო აღმატებულებანო, ქალბატონებო და ბატონებო,

ჩემი მოსაზრებების დასასრულს, მსურს შევჩერდე კიდევ ერთ კრიზისზე, რომელიც, ალბათ, ყველაზე მძიმეცაა. ლაპარაკია ადამიანური ურთიერთობების კრიზისზე, რომელიც ზოგადანტროპოლოგიური კრიზისის გამოხატულებაა და ეხება თვით ადამიანის ცნებასა და მის ღირსებს.

პანდემიამ, რომელმაც მრავალთვიან იზოლაციასა და, ხშირად, მარტოობაში გამოგვკეტა, წარმოაჩინა ადამიანური ურთიერთობების საჭიროება. პირველ რიგში, ვფიქრობ მოსწავლეებსა და სტუდენტებზე, რომლებიც ვეღარ დადიოდნენ სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში. „პრობლემის საპასუხოდ ყველგან ონლაინ სწავლება იქნა შემოღებული, რომელმაც სასწავლო და ტექნოლოგიური შესაძლებლობების აშკარა უთანასწორობა წარმოაჩინა, რის გამოც, ლოკდაუნისა სხვა უკვე არსებული შეზღუდვების პირობებში, ბევრი ბავშვი და მოზარდი ჩამორჩა ბუნებრივ სასწავლო პროცესს“. [12]

ამასთან, ონლაინ სწავლების ფართოდ დანერგვამ გაზარდა ბავშვებისა და მოზარდების ინტერნეტზე და, ზოგადად, ვირტუალურ საკომუნიკაციო საშუალებებზე დამოკიდებულება, რითაც ონლაინ კრიმინალური საქმიანობის თვალსაზრისით უფრო მოწყვლადად და იოლ სამიზნეებად აქცია ისინი.

ჩვენ მოწმენი ვართ „განათლების კატასტროფისა“, რასაც მომავალი თაობისა და მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ შევეგუებით. „საჭიროა სასწავლო პროცესისადმი ახლებური მიდგომა, რაშიც მთელი საზოგადოება უნდა ჩაერთოს“, [13] რადგან განათლება არის „ბუნებრივი ანტიდოტი ინდივიდუალისტური კულტურის წინააღმდეგ, რომელიც არცთუ იშვიათად „მე“-ს კულტად და აღზევებულ გულგრილობად იქცევა. ჩვენი მომავალი არც გათითოკაცებაშია, არც ფიქრისა და წარმოსახვის გაღარიბებაში, არც მოსმენისა და ურთიერთგაგების უუნარობაში“ [14]

მეორე მხრივ, ხანგრძლივმა ლოკდაუნებმა საშუალება მოგვცა მეტი დრო გაგვეტარებინა ოჯახში. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო ბევრი ადამიანისთვის, რომელთაც ხელახლა აღმოაჩინეს მათთვის ყველაზე ძვირფასი ურთიერთობები. ქორწინება და ოჯახი „კაცობრიობის ერთ-ერთი უძვირფასესი სიმდიდრე“ [15] და ყოველი სამოქალაქო საზოგადოების აკვანია. დიდი პაპი, წმინდა იოანე პავლე II, რომლის დაბადების 100 წლისთავიც გასულ წელს ვიზეიმეთ, ოჯახის შესახებ თავის ძვირფას სწავლებაში გვახსენებდა, რომ „დღეს, მსოფლიო მასშტაბებამდე გაზრდილი სოციალური პრობლემების წინაშე, ოჯახი ახლებურად იაზრებს თავის როლს საზოგადოების განვითარებაში“ და ამ როლს ხედავს იმაში, რომ „შვილებს შესთავაზოს ცხოვრების მოდელი, დამყარებული სიმართლეზე, თავისუფლებაზე, სამართლიანობასა და სიყვარულზე“. [16]

და მაინც, ყველამ როდი მოახერხა თავის სახლში მშვიდად ცხოვრება. ზოგან თანაცხოვრება ოჯახურ ძალადობაში გადაიზარდა. მოვუწოდებ ყველას, საჯარო ხელისუფალთ და სამოქალაქო საზოგადოებას, მხარი დაუჭირონ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთ. სამწუხაროდ, ყველაზე დიდ საფასურს ქალები ხდიან, ხშირად თავიან შვილებთან ერთად.

ვირუსის შეჩერების აუცილებლობა ადამიანის ძირითად უფლებებზეც აისახა, მათ შორის რელიგიის თავისუფლებაზეც - ხელი შეეშალა კულტის თაყვანისცემას თუ რელიგიურ თემში მიმდინარე საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას. ამასთან, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ რელიგიური მხარე პიროვნებისა და საზოგადოების ფუნდამენტური ასპექტია და მისი უგულებელყოფა დაუშვებელია. უნდა ვეცადოთ ადამიანის სიცოცხლის დაცვას, მაგრამ, არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ადამიანის სულიერი და ზნეობრივი მხარე ფიზიკურ სიჯანსაღესთან შედარებით მეორადია.

სხვათა შორის, კულტის თაყვანისცემის თავისუფლება გამომდინარეობს არა შეკრების თავისუფლებიდან, არამედ, არსებითად, რელიგიის თავისუფლებიდან, რომელიც ადამიანის უპირველესი და ფუნდამენტური უფლებაა. ამიტომაც, აუცილებელია სამოქალაქო ხელისუფლებამ პატივი სცეს მას და ისევე დაიცვას იგი, როგორც ჯანმრთელობას და ფიზიკურ მთლიანობას იცავს - სხეულზე ზრუნვა ხომ განუყოფელია სულზე ზრუნვისგან.

კანგრანდე დელა სკალასადმი მიწერილ წერილში, დანტე ალიგიერი ხაზს უსვამს თავისი კომედიის მიზანს: „ამქვეყნად მცხოვრებნი გამოიყვანოს გაჭირვებული ყოფიდან და მიიყვანოს ბედნიერ ყოფამდე“. [17]

სწორედ ესაა რელიგიური და სამოქალაქო ხელისუფლებების მიზანი, თუმცა ისინი ამას განსხვავებულ გზებით აკეთებენ. ადამიანურ ურთიერთობათა კრიზისი და, აქედან გამომდინარე, სხვა ზემოაღნიშნული კრიზისები ვერ დაიძლევა თუ პატივს არ ვცემთ ღმერთის ხატად და მსგავსებით შექმნილი ყოველი ადამიანის მიღმიერ ღირსებას.

დიდი ფლორენციელი მგოსნის გახსენებით, რომელსაც წელს გარდაცვალების მეშვიდე ასწლეული უსრულდება, მსურს განსაკუთრებული ფიქრი მივაპყრო იტალიელ ხალხს, რომელსაც ევროპაში პირველს მოუხდა პანდემიის მძიმე შედეგებთან ბრძოლა, და მოვუწოდო ნუ შეუშინდება მიმდინარე სირთულეებს, არამედ ერთსულოვნად იღვაწოს ისეთი საზოგადოების ასაშენებლად, რომელშიც არ იარსებებენ გარიყული და დავიწყებული ადამიანები.

ძვირფასო ელჩებო,

2021 წელი ის დროა, რომლის დაკარგვაც არ შეიძლება; და მას იმდენად გამოვიყენებთ, რამდენადაც შევძლებთ სულგრძელად და პასუხისმგებლურად თანამშრომლობას. ამ გაგებით, ვფიქრობ, რომ პანდემიისა და სხვა ბოროტებების წინააღმდეგ საუკეთესო წამალი ძმობაა. ძმობა და იმედი - აი ის წამლები, რომლებიც ვაქცინასთან ერთად ასე სჭირდება მსოფლიოს.

დაე, არა მოაკლოს ზეცამ გულუხვი წყალობა ყველა თქვენგანს და თქვენს ქვეყნებს. დაე, ეს წელი იყოს წელი იმ ძმური კავშირების გაღრმავებისა, მთელ საკაცობრიო ოჯახს რომ აერთიანებს.

გმადლობთ!